# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩ. ეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ჩვეულებისამებრ, ამ წელიწადსაც, 10 მაისს,
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება"
გაჰმართავს
მუშტაიდის ბაღში
**ლატარია-ალეგრის**
თავის ღონისძიებათა განსამლიერებლად.

ვინც ინებებს დაეხმაროს საზოგადოებას სხვა-და-სხვა ნივთების შემოწირულობით, შეუძლიანთ შემოწირულობანი გამოუგზავნონ კნეინა ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას—ავჭალის ქუჩა, საგინოვის სახლი, ანუ საზოგადოების კანცელარიას, რომელიც იმყოფება ბანკის ქარვასლაში. (5—5)

ქართული თეატრი
უკანასკნელი წარმოდგენა
**კვირას, 26 აპრილს,**
ქართულის თეატრის არტისტი
**ვ. ა. აბაშიძე**
გაჰმართავს
საოპერო და დრამატიულს წარმოდგენას.

მონაწილეობით: ქ-ნთ მანდენოვისა, გურგენიძისა, იახნოვისა; ბ-ნთ ივერიელისა, ხუციშვილისა, ბირშერტ-დოდაშვილისა, ნებიერიძისა, ადამიძისა და სხვათა.

წარმოდგენილი იქნება:

I

**ბედს ვერ წაუხვალ**

კომედია 4 მოქმედებად, გადმოკეთებული ვ. აბაშიძისაგან.

II

პირველად ქართულს ენაზედ

**სტრადელა**

სცენა და დუეტი მეორე აქტიდგან. მუსიკა ფლოტოვისა.

დასასრულ

**დიდი დივერტისმენტი**

ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა.
ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზედ.

**ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია**
ტფილისში
მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათ შესახვევს მასალას.**

**ხელობაღა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთს წუთს სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამოჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდაფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისეული) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—6)


## ახალი ამბავი

*** მისის უწმიდესობის სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოზის ამორჩევა ეჩმიაძინში მაისის ხუთს იქნება. მაისის სამს ეჩმიაძინში უნდა შეგროვდნენ დელეგატები და ფიცი მიიღონ, მაისის ოთხს კანდიდატების სია უნდა შეადგინონ და კათოლიკოზის ამორჩევა დაიწყონ. წუხელ ღამის მატარებლით ბათუმიდგან მოელოდნენ თექვსმეტს დელეგატს ოსმალეთიდგან, მათ შორის ორი ეპისკოპოსია.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ა. ყაზბეგის ფონდის სასარგებლოდ 5 მ. ამ ფონდისა იყო დღემდე 416 მან. 40 კ., ამითი შესდგა სულ 421 მან. 40 კ.

*** დღეს, 24 აპრილს, ქართული დრამატიული დასი პროვინციისაკენ გაემგზავრა. დასი ქუთაისსა, ფოთსა და ბათუმში წარმოდგენებს გაჰმართავს ბ-ნ ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით და უფრო უმეტესად წარმოდგენილი იქნება კლასიკური პიესები. დასს ჰმეთაურობს ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა. თან დიდძალი სათეატრო ტანისამოსი მიაქვთ. სულ მთელი დასი თორმეტის კაცისაგან შესდგება.

*** ტფილისის მეორე გიმნაზიის 1 კლასში მისაღები ეგზამენები იქნება 19, 20, 21, 22, 23 მაისს და აგვისტოს დამლევს. ვინც მაისის ეგზამენების შემდეგ მიღებული არ იქნება, ნება აღარა აქვს აგვისტოს ეგზამენის დაჭერა. თხოვნის მიცემა შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე, $8^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა.

*** კასპიის იმიერ მხრის მმართველი, გენერალ-ლეიტანტი კუროპატკინი მაისში პეტერბურგს გაემგზავრება, რათა უმაღლესს მთავრობას სთხოვოს, რომ ასხაბადსა და მერვში ქალაქის თვით-მმართველობა იქმნას დაწესებულიო.

*** 19 აპრილს, შუაღამის 2 საათსა და 15 წუთზედ, გუნიბში (დაღესტანში) მიწის-ძვრა იყო, რომელიც 3 წუთს გაგრძელდა.

*** ამ დღეებში ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელმა-მოსამართლემ გაარჩია საქმე აბრეშუმის მოყვანის ტფილისის სადგურის გამგესი, ნ. ნ. შავროვისა, რომელმაც სიტყვით შეურაცხება მიაყენა სამსახურს გარეშე მყოფს, კოლეჟსკი ასესორს ლუარსაბ სულხანოვს, რომელიც მუშტაიდში დასეირნობდა. მომრიგებელმა-მოსამართლემ ბრალდებული გაამართლა. სულხანოვი მოსამართლეს განაჩენს არ დაეთანხმა და საქმე ოლქის სასამართლოში გადიტანა.

*** ტფილისის მაზრის ზოგიერთს ადგილებში, მაგალითად ბერთუბანისა, პატარძეულისა და საგარეჯოს მამულებში, მინდვრის თაგვები გაჩენილა.

*** როგორც შევიტყვეთ, ამ ახლო ხანებში ტფილისში ჩამოსვლას აპირებს ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ბ-ნი ა. ცაგარელი.

*** ტფილისის თავშესაფარში, რომელიც პოლიციის მე-9 ნაწილში, ჩუღურეთში, თითქმის ქალაქის შუა ადგილას არის გამართული, კვლავ იჩინა თავი შავმა სახადმა. გუშინ და გუშინ-წინ უკვე სამი ავადმყოფი მიიყვანეს ამ თავშესაფარიდგან ტფილისის მიხეილის სამკურნალოში. ეს სენი ამას წინადაც მხოლოდ ამ თავშესაფარში იყო და ეხლაც აქ გამოჩნდა. მთელს ქალაქში სხვაგან ერთი შემთხვევაც არა ყოფილა ამ სენით ავად გახდომისა. ჩუღურეთელები ისე არიან დაშინებულები ამ თავშესაფარისაგან, რომ გვერდზედ აღარ უვლიან და შორს უხვევენ. ამ თავშესაფარში შავის სახადის კვლავ დაწყების ამბავი გუშინ ცალკე ბ-ნს გუბერნატორს ეუწყა და ცალკე საგუბერნიო სამკურნალო ნაწილის მმართველს, ბ-ნს გლავაცკის. ტფილისის პოლიცმეისტერი ამ თთვის გასულს აპირებს ამ თავშესაფარის გაუქმებას, ხოლო რადგან შავი სახადი კვლავ გამოჩნდა, იმედია, ან ეხლავე გააუქმებენ და ან დამშეულ გუბერნიებიდგან ჩამოსულებს ქალაქის განაპირად გადაასახლებენ სადმე, თორემ შეიძლება ეს საშინელი სენი მთელს ქალაქს მოედოს.

*** ტფილისის მაზრის ყარაიაზის საბოქაულოში ცხვრის ფარას თურქული გამოაჩნდა და 25 სული ცხვა უკვე ავად გახდა. სიკვდილით ჯერ ცხვარი არ დახოცილა, მაგრამ თუ ეხლავე არ უპატრონეს, შეიძლება მთელს ფარას მუსრი გაავლოს თურქულმა.

*** ამ თთვის 29-ს, ღამის სამ საათზედ, გეოგჩაიზედ ცისიერს გადაუვლია და სამის წამის განმავლობაში გარშემო ისე გაუკაშკაშებია, როგორც ელექტრონის მზემ გაანათოს არე-მარე.

*** ბათუმი: ამ დღეებში ბათუმში მოვიდა პარიჟიდგან მთელს ევროპაში ცნობილი მდიდარი კაცი დოლფუსი და აქედგან ტფილისში წამოვა.

ამ უკანასკნელს დროს ბათუმში ქურდობა გახშირდა.

*** სიღნაღი: იორის ხეობაზედ, ელდარადგან განჯის მაზრამდე, კალია გამოჩენილა. ამ კალიის გასაწყვეტად მაშინვე 1,100 კაცი გაუგზავნიათ.

*** სოფ. ხარშო (ზუგდიდის მაზრა): არ იქნა და არა, ქურდებისაგან თავი ვერ ვიხსენით! უფრო ცხენების პარვას მიჰყვეს ხელი და, თუ ვისმეს ცხენი ჰყავდა, ცარიელი დასტოვეს. ამ თთვის შუა რიცხვებში აქაურს მცხოვრებს კ. პაიას ეზოდგან მოჰპარეს ერთი კარგი ცხენი. იმავ ღამეს ისევ ისინი სოფ. ზანაში მიულიყვნენ და იქაც ერთი ცხენი მოჰპარათ ქივასათვის. ორივენი დიდის გულმოდგინებით შეუდგნენ დაკარგულის აღმოჩენას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ აღმოაჩინეს. ამ გაზაფხულის პირზედ მრავალმა მოარულმა ავადმყოფობამ იჩინა თავი და მრავალიცაა ამ ჟამად ლოგინად ჩავარდნილი...

*** სოფ. ჯვარი (ზუგდიდის მაზრა): სწორედ წრევანდელი წელიწადი ვერაფერი წელიწადია ჩვენთვის. დადგა თუ არა ახალი წელიწადი, თან მოგვიტანა რაღაც უცნაური სენი, რომელმაც მრავალი გაისტუმრა საიქიოს. ამ გაზაფხულზედ ამას ზედ დაერთო სხვა-და-სხვა მოარული ავადმყოფობა და მთლად ილაჯი გაგვიწყვიტა. ამ თთვის თერთმეტს ჩვენსკენ სხვილი სეტყვა მოვიდა. სეტყვამ ნამეტნავად ავნო როგორც ბოსტნეულობას, აგრეთვე ყოველს მცენარეულობასაც...

*** სუჯუნა (სენაკის მაზრა): ჩვენს მივარდნილსა დამოწყენილს სუჯუნაშიაც თანდათან ფეხს იდგამს სასარგებლო და სასიამოვნო დროს გატარების საქმე. აქაც განუზრახავთ ქართულის წარმოდგენის გამართვა, რომლის მოთავე აქაურის დედათა სკოლის მასწავლებელია. წარმოდგენა დანიშნულია ამ თთვის ოც-და-სამისათვის. აქედგან შემოსული ფული დედათა სკოლის სასარგებლოდ უნდა გადაიდოს. ამ დღეს აქ დიდი ჯარიანობა იციან და იმედიცაა, რომ ჩვენი საზოგადოება ბლომად დაესწრება წარმოდგენას...

*** ახალ-სენაკი: აქაურმა ყასაბმა ხორცი გაგვიძვირა. გირვანქას ორ შაურ ნაკლებად არა ჰყიდის. ეს კიდევ არაფერი, ოღონდ ყველას გვეშოვებოდეს. ამ თთვის შუა რიცხვებიდგან საშინელი აღმოსავლეთის ქარი ჰქრის, რომელმაც მიწა ძალზედ გაახმო და ხვნა-თესვაც შეაჩერა. თუ აპრილმა ასე გასტანა, მაისამდე არ დაიწყება ყანები...

*** გაზეთ „Нов. Обоз."-ს შეუტყვია, რომ სახელმწიფო სამინისტრომ გადასწყვიტა მუშტაიდზედ გზის შეკვრა. ამ გზის მაგიერად, სხვა გზა გაიხსნება მუშტაიდსა და საკლიმატიზაციო ბაღს შუაო.

## მთავრობის განკარგულებანი

მიხეილის ციხის არტილერიის პორუჩიკი თავ. ბებუთოვი გადაყვანილ იქმნა კავკასიის საგრენადერო დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოზის ძის არტილერიის ბრიგადაში.

## ერთის სკოლის შესახებ

ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც „წერა-კითხვის საზოგადოება“ შეუდგა ამ ათის წლის წინად, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებულ მაჰმადიან ქართველთა შვილები მიეზიდნა, პირველ-დაწყებითი განათლება მიეცა მათთვის, განემართნა ქართულს წერა-კითხვაში, მათის შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარა-ქობულეთში ქართულის წიგნის ცოდნა და ამ გზით გაეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმათა შუა, რომელნიც ულმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულს საუკუნეებში ათასის წლის ძმურის ისტორიულის ცხოვრებისა და ერთად მოქმედების შემდეგ.

სკოლის დანიშნულება დიაღ მაღალი და მიმზიდველი იყო, და წერა-კითხვის საზოგადოებას არ დაუზოგავს არაფერი, რომ ბათუმის სკოლა ამ დანიშნულებას მოსწეოდა...

საზოგადოება იყო ღარიბი ფულით, მაგრამ ამ სკოლაზედ-კი სწევდა იმოდენა ხარჯსა, რომლის გაღებას მხოლოდ მდიდარი საზოგადოება გაჰბედავს... სკოლის სახლში აძლევდა იმდენს, რომ ამ ფულით მთელს სამაგალითო სკოლას შეინახავდა სხვა ადგილას; მასწავლებელს ჰქონდა დანიშნული იმოდენა ჯამაგირი, რომელიც არც ერთს პირველ-დაწყებითს სკოლის მასწავლებელს არ ეძლევა ჩვენში. მასწავლებლად წესდებოდნენ განვითარებულნი, მხნენი და სწავლების ოსტატობაში დახელოვნებულნი კაცნი. წიგნები და სხვა სამოსწავლო ნივთეულობა თავის დროზედ უხვად ეგზავნებოდა. საზოგადოებამ ამას ისიც დაუმატა, რომ იმავ თავითვე განამწესა მაჰმადის სჯულის მასწავლებელი მოლა და მას წელიწადში ჯამაგირად დაუნიშნა ოც-და-ოთხი თუმანი ფული, რომელიც არც ერთს პირველ-დაწყებით სკოლის სჯულის მასწავლებელს ჩვენს ქვეყანაში არ ეძლევა. ამასაც არ დასჯერდა გამგეობა საზოგადოებისა. რათა გაეადვილებინა სოფლებიდგან ჩამოყვანა მაჰმადიანთ ბავშვებისა სკოლაში სასწავლებლად, მან თავისის ფასით დაიქირავა და დღემდის ჰქირაობს თავშესაფარს სადგურს აჭარა-ქობულეთის ქართველთა შვილებისათვის და ამ სადგურის გამგეობა და პატრონობა მიანდო ყურანის მასწავლებელს მოლას. საერთოდ რომ ვსთქვათ, წერა-კითხვის საზოგადოებას ბათუმის სკოლის შენახვაზედ მის დაარსებიდგან აქამომდე დაუხარჯავს 20,000 მანეთზედ მეტი. კარგი მშობლიური ზრუნვა გახლავთ განა?

ხოლო ნაყოფი სრულიად არ შეეფერება ამოდენა ხარჯსა და ზრუნვას. ის დანიშნულება, რომლის გულისათვისაც ჰხარჯავდა ძლიერ ხელმოკლე საზოგადოება იმოდენა ფულსა, რომ იმითი მთელს ხუთს და ექვსს სკოლას აწარმოებდა და გაუძღვებოდა სხვა ადგილებში, აუსრულებელი, მიუხწეველი შეიქმნა ბათუმში. მაჰმადიან ქართველთა შვილები, რომელთათვის უმთავრესად დაარსდა, არსებობდა და არსებობს ბათუმის სკოლა, თითო-ოროლობით შემოდიოდნენ და შემოდიან ამ სკოლაში, ასე რომ მათი ნამდვილი რიცხვი თითქმის არც ერთს წელიწადს თოთხმეტზედ ზევით არ წასულა მთელის ათის წლის განმავლობაში. ყოველმა ცდამ, რომ ამ გვარს მოწაფეების რაოდენობას ემატნა წლითი-წლობით, ამაოდ ჩაიარა. ამაზედ უარესიც მოხდა: ბოლოს წლებში მაჰმადის სჯულის მოწაფეთა რიცხვმა იკლო. ნაცვლად წინანდელის თორმეტისა, ამ ჟამად სწავლობს მხოლოდ შვიდი მაჰმადიანი მოწაფე ბათუმის სკოლაში.

ეს თითო-ოროლა აჭარა-ქობულელიც სწავლას ბეჯითად არ ეკიდებოდა და არც ეხლა ეკიდება. ხშირად აკლდებოდნენ და აკლდებიან გაკვეთილებსა, სცდებიან სწავლას მაშინაც, როდესაც ქრისტიანების დღესასწაულებია და მაშინაც, როდესაც მაჰმადიანთა უქმეები სდგას. ამის გამო ესენი სკოლის ყოველს განყოფილებაში ცალკე განყოფილებას შეადგენენ, სკოლაში სკოლას. აშკარაა, რომ ამან ძლიერ უნდა დააბრკოლოს სწავლის ჯეროვანი მსვლელობა მთელს სკოლაში და მეტად შეამციროს წარმატება ქრისტიან ქართველებისაცა.

ნათქვამიდგან არავის არ გაუჭირდება გამოიყვანოს ის დასკვნა, რომ ბათუმი შეუსაბამო ადგილი აღმოჩნდა მაჰმადიან ქართველთა შორის განათლების გავრცელებისათვის. თითონ ბათუმში ძალიან მცირედ სცხოვრობენ როგორც ბეგები, ისე დაბალის წოდების მაჰმადიანი ქართველები, ხოლო სოფლებიდგან ჩამოყვანა შვილებისა ძლიერ უძნელდებათ. მიუცილებლად ის გარემოებაც მუშაობს აქა, რომ ბათუმის სკოლაში ქართველი მაჰმადიანები იძულებულნი არიან ერთად ისწავლონ ქრისტიან ქართველებთან. პირველთა სიმცირეზედ დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს მათ მშობელთა შიშსა, ვაი თუ ერთად ყოფნამ და სწავლამ ქრისტიან ბავშვებთან ჩვენს შვილებში მაჰმადიანობა შეარყიოსო.

ცხადია, რომ ბათუმში სკოლის დაარსება შეცდომა იყო და დიდიც. ხოლო ეს არ ესაყვედურება გამგეობას წერა-კითხვის საზოგადოებისას. შეუცდომელი მხოლოდ ღმერთია და, ღმერთს გარდა, უსაქმო ძილის-გუდა. ვინც ჰმოქმედობს, იღვწის, შეცდომას ვერას დროს ვერ ასცდება. გარნა გონიერი მომქმედი, შეიგნებს რა თავისს შეცდომას, ჯიუტურად როდი შეჩერდება მასზედ, იგი სცდილობს, რაც შეიძლება მალე, გაასწოროს თავისი შეცდომა და საქმე კეთილად წარმართოს. სწორედ ამ გვარად იქცევა გამგეობა წერა-კითხვის საზოგადოებისა. მას უკვე მოუწადინია მაჰმადიან ქართველთათვის დაარსოს ცალკე სკოლა და ადგილად აღმოურჩევია ქობულეთი. თავდარიგსაც უკვე შესდგომია. ამ კეთილის განზრახვის განხორციელება ახლა თითონ ქობულეთელებზედ არის დამოკიდებული. უმთავრესს ხარჯს—ჯამაგირს მასწავლებლისას, სკოლის ავეჯეულობის გაკეთებასა და წიგნების გზავნას სკოლაში ყოველ შემთხვევაში თითონ საზოგადოება იკისრებს. დანარჩენს მცირე ხარჯს: მოლის ჯამაგირს და სახლის ქირას ქობულეთი უნდა გაუძლვეს. სადაც-კი საქართველოში სკოლაა, სოფელი იხდის ორმოცამდე თუმანს წელიწადში, და ქობულეთს ნუ თუ ამის ნახევრის გარდახდა გაუძნელდება!..

ხოლო ქობულეთში სკოლის დაარსება იქნება პირველი ნაბიჯი წერა-კითხვის საზოგადოების მოქმედებისა მაჰმადიან საქართველოში. ამას უნდა მოჰყვეს მეორე ნაბიჯი—გამართვა სკოლისა აჭარაში, მაგალითად ქედაში. მეორე ნაბიჯს უნდა მოჰყვეს შემდეგი ნაბიჯები, რათა საზოგადოება მოეწიოს თავის წადილსა—ქართულის განათლების მოფენას სამხრეთ-საქართველოში და განახლებას ძმურის კავშირისას ჩვენსა და აჭარელ-ქობულეთელთა შორის...

ი. სვიმონიძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სუხუმი.** შეიძლება არ გაგიკვირდეთ, რომ სუხუმში, სადაც მცხოვრებნი ქართველები არიან, ქართულად ლაპარაკობენ და ქართული ზნე-ჩვეულება აქვთ, ქართული წარმოდგენა გველირსა ამ თთვის ცხრაში, მაგრამ ვინც კარგად იცნობს სუხუმს, ისინი-კი გაკვირვებაში მოვლენ და იტყვიან: „რა ამბავია?! ვინ სუხუმი და ვინ ქართული წარმოდგენაო!“ დიდად განცვიფრებულები შეჰყურებდნენ სუხუმელნი აფიშებსაც-კი. ნამეტნავად გაჰკვირდნენ მაშინ, როდესაც გაიგეს, ვინ იღებდა მონაწილეობას. განა იმათ ქართული ლაპარაკი იციანო?! სცენის მოყვარულთა შორის იყო ბ-ნი ნ. ი. ალექსი-მესხიშვილი და მომეტებულს ლაპარაკს სოხუმელებში ეს გარემოება იწვევდა. იმისი იმედი ყველასა ჰქონდა, რადგანაც რუსულს სცენაზედაც რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა და მშვენივრადაც ითამაშა. მართლაც. მშვენივრად ითამაშა ბ-ნმა ნ. ალექსი-მესხიშვილმა. მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ქ-ნნი ნ. ი. ბერძენაშვილისა და მ. ა. ჩივაძისა, რომელნიც პირველად იყვნენ სცენაზედ. ქ. ბერძენაშვილმა მშვენივრად აასრულა თავისი როლები შუშანასი და ნამეტნავად ანჩხლის ეფემიასი პეპოში. აგრეთვე მშვენივრად ითამაშა ქ. ჩივაძემ კეკეს როლი. კარგად მოუვიდა ის ადგილი, სადაც იგი თავისს ბედს ემდურის. ლაზათიანად წარმოგვიდგინა თვალწინ უდარდელი ქალაქის კინტო ბ-ნმა გრიქუროვმა. ესევე გვასიამოვნა გიქოს როლში ბ-ნმა ფრანგულიანცმა. ყველაზედ დაუფასებელი იყო ნ. ი. ალ.-მესხიშვილი პეპოს როლში, მეტადრე მაშინ, როდესაც გიქოს უამბობს, რა სასიამოვნოა თევზაობა და რა სანატრელია ის წამი, როცა... და თევზაობის სურვილით გატაცებულმა, რომელსაც ეგონა, ვითომ წყალში ვდგევარო, ბადე ისროლა და საცოდავი გიქო-კი გაახვია შიგ. ისეთის ხელოვნებით შესრულა ზოგიერთი სხვა ადგილი კიდევ, რომ ტაშის კვრა დიდხანს არ შეწყვეტილა. თეატრი მთლად სავსე იყო და ბევრი ბილეთების უქონლობის გამო უკან დაბრუნდა.

წმინდა შემოსავალი დარჩა 120 მ. 5 კ., რომლიდგანაც 20 მ. აქაურს სასწავლებელს გადასცეს და დანარჩენი „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ გაუგზავნეს.

იმედია, რომ ამას შემდეგაც სცენის მოყვარენი არ დაიზარებენ და საზოგადოებას ასიამოვნებენ.

როგორც ამბობენ, აქ აპირობენ სუხუმში ქართულ ერთ-კლასიანის სკოლის გამართვას. ამ სკოლაში ქართულს ენას უპირატესობა ექნება. სამწუხაროა, რომ აქეთ ქართულის ენის ჭაჭანება არსად არ ისმის, არც ერთს სასწავლებელში.

წარმოიდგინეთ აქაურის ქართველების მდგომარეობა: ბევრს მათგანს ისე არ ესმის რუსული ენა, როგორც თქვენს უმორჩილესს მონას ჩინური, და მთელი წელიწადი ერთხელ ვერსად ვერ მოისმენთ ქართულს წირვალოცვას, თუმცა ქართველი მღვდლები არიან, რომელთაც შეუძლიანთ

---

## ფელეტონი

### ჩვენი უთავბოლობა.

გლეხ-კაცობა და სოფლის ბობოლები.

(შემდეგი. იხ. „ივერია“, № 80)

ხალხს ახლო სდგანან აგრეთვე სოფლის თავად-აზნაურობა და ვაჭრები; ამათზედ ბევრისაგან ბევრი რამ ითქმოდა, მაგრამ ჯერ ერთი ეს, საქმე შორს წავა, და მეორეც ის, ისინი ძირიან-ფესვიანად აწერის ღირსნი არიან ცალკე, განსაკუთრებით, რომ მომავალს თაობას მათის ტვინის მოქმედების გრძელი და ათას ფრთოვანი ისტორია არ დაეკარგოს, და მესამეც ეს, იმათ, ე. ი. დღევანდელს თავად-აზნაურობასა და ვაჭრებს ყველა იცნობს უმთავრესის საქმით და აბა მგელ-მაიმუნის გაკვრით ხსენებაზედ ამათის აქიის მოძრაობა რაღა საჭიროა, როდესაც ბალღმაც-კი იცის ასე თუ ისე ზნე-ხასიათი მგლისაცა და მაიმუნისაც.... მხოლოდ ვიტყვი ამას: ნაცვლად იმისა, რომ თავად-აზნაურობა გულითა და სულით შეუსისხლხორცდეს თავის თვის-ტომს გლეხობას და დღევანდელ ცუდის ეკონომიურის ყოფა-ცხოვრების განკარგებაზედ დაუცხრომლად იზრუნონ ძმურად იმ გონივრულად შეერთებულის ძალ-ღონით, რომელსაც თვით ჯოჯოხეთიც-კი სამოთხედ შეუძლიან აქციოს, პირ-იქით, თავად-აზნაურობა წყალ-გაღმა გასდგომია გლეხობას და იქიდგან უყვირის ნაცარქექიულის სიამაყით თავის მამა-პაპისეულს უმეცრებას: თქვენი ბატონები აღარა ვართ, მაგრამ გამოგძვრათ თვალი, მაინც თქვენი სისხლი სხვა არიო!... აი რას ჰნიშნავს სისაწყლისაგან გამოწვეული უსწავლელობა და გაუნათლებლობა. „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თითონ არ არი, ცუდია გვარიშვილობა“—მეთორმეტე საუკუნიდგან გვასწავებს ამ სიბრძნეს ჩვენი ცამდე დიდებული პოეტი და გაუნათლებელს ნაწილს თავად-აზნაურობისას-კი დღესაც არ ესმის ეს უბრალო ჭეშმარიტება თავის სამარცხვინო უვიცობისაგან და სულ იმას-ღა გაიძახის თუთიყუშივით: ჩვენი სისხლი სხვა არიო! ჯანი და სული გაგვარდეთ და დიდის მთის ღვართქაფმა ჩაგყლაპოთ, თუ სხვა არიო,—მისძახის გულ-მოსული გლეხობა კიდევ ქოქოლას მიყრით და უფრო შორს ერიდება შორს მორიდებულს. გამგელკაცებული ვაჭრებიკი, რომლებსაც ფეხის თითებზედაც ალმასის ბეჭდები აქვთ გაკეთებული, თითო ფუთიანი ვერცხლის ქამრები აკრავთ, თითო ლიტრიანი საათის ოქროს ჯინჯილები ჰკიდიათ და ორმოც თუმნიანი თულუფები აცვიათ, მჰადა-ქვასავით იხეჩებიან სიცილით და თან თავიანთ ქორის წიწილებივით უმანკო ცოლშვილს შემდეგს უამბობენ შეითან-ბაზრულის ფართი-ფურთით: მაშ, ვა! განა ტყუიან ის ემე—ჩვენი ჭანჭლე კნიაზები და მჰაღ-აზნაურები, როდესაც გიქოს დიდ-ყურასავით სულ იმას ყვირიან: ჩვენი სისხლი სხვა არიო. ოღონდაც რო სხვა არი... უწინ იმათი სისხლი წითლად შეღებილი ერბო იყო, ერბო! დღეს-კი, თვალი დაუდგეთ, რახან ჩვენ გავხდით მაგათიცა და ყველას სულთამხუთავი ბატონები, მაგათმა სისხლმაც ფერი იცვალა და ხორცმაც! დიახ, აქ ჰკვის საქმეა, ჰკვისა: დღეს სიმდიდრეც ჩვენა გვაქვს, კაცებიც ჩვენა ვართ, პატრონებიცა და ბატონებიც. ვა, მაშ ხომ სულ ისინი არ იქნებოდნენ ბატონები, სხვას-კი არ უნდოდა? თითონ ქრისტე-ღმერთმა არა ბრძანა, ვენაცვალე იმას ი სულის კოლოფში, „წინანანი უკან, უკანანი წინო“. მერე ერთი შეფიქრიანებულის სახით ამოიფშვენს ჩვენი ვაჭარი, გეგონებათ სტენლისა და პარნელის საქვეყნო აზრები უტრიალებენ თავშიო, და მიუკურკურებს დაჟვის ალერსით თავისს ჯალაბს: არ გიყვარვარ, ჩემო სულო, ასე ჰკვიანურად რომ ვირჯები დღე და ღამე და სიმდიდრეზედ სიმდიდრეს ვუმატებო?

— ქა! რას მეუბნები?! მთელის ქვეყნის საცხოვრებელი შენ შეიძინე ჰკვიანობით და ქვეყნის ბატონ-სარდალი შენა ხარ და შენც რო არ მიყვარდე ხმელეთის თვალი და ფასი, მაშ ვინ-ღა ეშმაკი და ქაჯი მეყვარებაო?! უპასუხებს თავ-მოწონებული ჯალაბი თავ-მოწონებულს ვაჭარს, და ჩვენი ვაჭარიც ისე გაიბერება და განებივრდება ამ გულის დამშაქრავის სიტყვებით და ისე თავს მოიწონებს ჯალაბთან ახლა სხვა თავისაგან განძრახულ ვერაგულ საქმეებით, რომ იმას ფიქრადაც აღარ მოუვა შემდეგი: ის მტაცებელი ნადირია ქვეყნის ნაჭირნახულევისა და ადამიანის სახეს-კი ატარებს და ქუდი აგდია თავლაფ დასასხმელს თავზედ. ვაი იმ ერსა, უჭკო-მშიერსა, და ფუიც იმის ცხოვრება-სახლსა, ოქროს მთა-ბარში როცა ბატონად კისერზედ ისვამს მგელს, ვირს და ძაღლსა!.. ო, ღმერთო, „не вижу я вокругъ отраднаго разсвѣта! Повсюду ночь да ночь, куда не бросишь взоръ“, პოეტისა არ იყოს!

თუ კარგა ვიგულისხმებთ ყველა ზემო ნათქვამს, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა ხალხი ახვევია დღეს საქართველოს დაბა-სოფლების უმრავლესობას და რა უნდა იყოს იმ უმრავლესობის გონებითი და ქონებითი მდგომარეობა, მომწყვდეული ათას ნაირ უწეს-რიგობაში. სხვა რომ სულ აქით იყოს, ისე აუთვალწუნებია თაყვან-საცემი სარწმუნოება დაბა-სოფლების უმრავლესობას, რომ პაწაწინა გლეხის ბიჭიც-კი ღმერთს, გამჩენს, სჯულს, ხატს, ჯვარს და ქრისტეს იგინება წარამარა, შინ თუ გარედ, და დიდები ხომ ყოველთვის მზად არიან ყოველ გვარი საზიზღრობა ჩაიდინონ დამშეულ ჯიბე-მუცლის გულისათვის, მტრულ შურისძიებისათვის, თუ მხეცურ თავ-მოყვარეობისათვის. გულითა და სულით პატიოსანი ადამიანი ან დიდად ღვთის მორწმუნე უნდა იყოს, ან დიდად

ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვა.

ამ გარემოებას განმარტება აღარ ეჭირვება, რადგან ცხადია, რის მომასწავებელიც არის ასეთი ამბავი.

წამსვლელი

## რუსეთი

გაზეთი „С.-Петерб. Вѣд.“-ი იხსენიებს რა რამდენსამე შემთხვევას თითქმის სრულიად უმიზეზოდ ქმრების მიერ თავიანთ ცოლების დახოცვისას, შემდეგ საზოგადოდ რუსთა ზნე-ჩვეულების ხეპრეობის შესახებ ლაპარაკობს. გაზეთის სიტყვით, ყოვლად საჭიროა მთავრობამ ღონისძიება იხმაროს რუსთა ხასიათის ხეპრეობისა და სიბრიყვის გასასწორებლად. არც ერთის ერის ენა დედამიწის ზურგზედ არ შეიცავს იმდენს და იმისთანა ბრიყვულსა და ზნეობრივს გრძნობის ამაშფოთებელს სალანძღავს სიტყვას, რამდენსაც და როგორსაც რუსული ენა. ვერც ერთს ქვეყანაში კაცი ვერ გაიგონებს ისეთს წრე-გადასულსა, თავხედურსა და სამარცხვინო გინებას, რამდენსაც რუსეთის სოფლებსა და ქალაქებში. რაც უფრო დიდია სოფელი ანუ ქალაქი რუსეთისა, მით უმეტესად, ხშირად და დაუშრეტელად ისმის ზღვის ტალღასავით შეუდრკელადა და თავისუფლად მომდინარე უწმაწურობა და ლანძვაგინება. სატახტო ქალაქს პეტერბურგშიაც-კი ადამიანს თავისს საკუთარს სადგომში ვერ შეუძლიან სთქვას, აქ ჩემთვის თავისუფლად, მოსვენებითა ვარ, მოშორებული ლანძღვა-გინების მოსმენასაო. წამ და უწუმ შინაც უთუოდ ისმის ქუჩიდგან ისეთ-ისეთი უწმაწური გინება, ნიშანი ზნეზამხდრობისა, რომ ჟრუანტელი უვლის ტანში სირცხვილისა და ზნეობრივ გრძნობის შეურაცხყოფისა გამო. ძალა უნებურად უნდა მოისმინოს კაცმა ისეთი გამაბოროტებელი, ზნეობის ჩამთუთქავი უშვერობა, რომლის უუმგზავსესსა და უშეურაცხმყოფელს ველარაფერს ვერ მოახერხებს ადამიანის ენა. აი ასე ხშირად და ასე ნიადაგ შეურაცხ-იყოფება საზოგადოებური ზნეობა და არაფერი ღონისძიება-კი არა არის-რა არავისგნით ამ გვარ ამბების მოსასპობლად.

„ენა ერისა იგივე სულია ერისა. ერი იმდენად არის წარმატებული და აღზრდილი, რამდენადაც იგი პატივისცემით ეკიდები ქალს. მაგრამ ეს ვრცელი ლექსიკონი რუსულის ლანძღვა-გინებისა მხოლოდ ქალის შეურაცხ-საყოფელის სიტყვებითაა სავსე. აქედგან აშკარადა სჩანს, თუ რა უპატივცემოდ ეკიდება რუსი ქალსა და რა გრძნობა განუვითარებელ-გაუნათლებელია იგი“.

გაზეთს რამდენიმე მაგალითი აქვს დასახელებული ზემოხსენებულ აზრის დასამტკიცებლად და შემდეგ ამბობს:

„ალბად რუსეთის ბუნებაშია რამ ისეთი, რომ ასე ამხეცებს კაცს, ასე ახეპრევებს და თვით ნადირზედ უუმგზავსესადა ჰხდის. ამიტომ საჭიროა ღონებულ იქმნას ყოველივე შესაძლებელი ღონისძიება გასაწრთვნავად რუსთა მეტის-მეტად ბრიყვულის ხასიათისა და ქცევისა როგორც ოჯახში, აგრეთვე საზოგადოებაშიაც. თუმცა ძლიერ გამოურკვეველი სფერაა ეს სფერა, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, რომ კანონ-მდებლობამ ვერა გააწყოს-რა ამ საქმეშიო“.

## ეკკლესია და სახელმწიფო საფრანგეთში

(რენანის აზრი)

პარიჟელმა კორესპონდენტმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა 9 ამ თთვისას გაზეთს „Times“-ს: „შემთხვევა მომეცა და ვეახლე საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს რენანს ამას წინად ორს ეკკლესიაში მომხდარ უწესოების თაობაზედ და ბაასის დროს სხვათა შორის ვილაპარაკეთ სამღვდელოების აწინდელ სურვილის გამო, რომ საპოლიტიკო საქმეებში გაერიოს და მონაწილეობა მიიღოს. გამოჩენილი მწერალი ერნესტ რენანი თავის სადგომში ვნახე, „Collége de France“-ს შენობაში. ძლიერ მეყაითადა მუშაობდა, თუმცა გვერდზედ რაღაც ნაირი სიმსივნე აქვს და მეტის-მეტად აწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ თითქმის სუნთქვაც უჭირდებოდა, მაინც საზოგადოდ ადვილადა და თავისუფლად ლაპარაკობდა. მე ჯერ ისა ვკითხე, რამდენად მართალია საფრანგეთის კათოლიკეთა სამღვდელოება, რომ სახელმწიფოს მიერ დანიშნულს ჯამაგირს იმის სანაცვლოდა და საბადლოდ სთვლის, რაც 1790 წელს საკანონმდებლო კრებამ ქონება ჩამოართვამეთქი ეკკლესიას. რენანმა მიპასუხა: „მაგისთანა ლაპარიკს სრულიად შემცდარი აზრი აქვს საფუძვლად. კონკორდატში მაგისი მგზავსი არა სწერია-რა. სამღვდელოებისათვის ჯამაგირის დანიშვნა 1801 წელს იქმნა განხილული, ხოლო გარდასწყდა 1812 წელს, ე. ი. 12 წლის შემდეგ მას უკან, რაც სახელმწიფომ ეკკლესიას ქონება ჩამოართვა. იმ დროს განმავლობაში სულ ახალი და სხვა გვარი წეს-რიგი ჩამოვარდა, ასე რომ ძლიერ შემცდარი აზრი იქნება, თუ ვინმე იმას იტყვის, ვითომც კონკორდატის დადება ეკკლესიის ქონებათა ჩამორთმევის უკანონოდ მიჩნევის გამო მომხდარიყოს. იქნება სამღვდელოების სანუგეშებლად წარმოსთქვა ვინმემ ეს აზრი მწერლობაში, თორემ სხვა არა ყოფილა-რა. ნეტა ერთი რას იტყოდა ნაპოლეონ პირველი, ეს სამღვდელოების აზრი რომ გაეგონა თავისის ყურით? ეს ვიცით, რომ თავისი თავის გვირგვინოსნობასა და თვით-მპყრობელობას აპირობდა. განა თავისით რაიმე დაბრკოლებას შეჰქმნიდა თავისის თვით-მპყრობელობისათვისა? როცა პაპს კონკორდატით შეეკრა, ნაპოლეონს იმის მეტი არა ჰსურდა-რა, რომ ახალი და მტკიცე ძალა შეეძინა და კარგს ნიადაგზედ დაემკვიდრებინა თავისი მფლობელობა. ნაპოლეონი მღვდლებსა და ეპისკოპოსებს სასულიერო საქმეების სახელმწიფო მოხელეებად ჰრაცხდა. სამღვდელოება, ნაპოლეონის აზრით, მომხრე და ხელ-შემწყობი უნდა ყოფილიყო მთავრობის სიმკვიდრისა და ძლიერებისა. თუ ამ მხრივ განვიხილავთ ამ საგანს, მაშინ, რა სახის მმართველობაც უნდა იყოს საფრანგეთში, სამღვდელოება ვალდებულია დაემორჩილოს მთავრობას, რომელიც მას ჯამაგირს აძლევს. საფრანგეთის სამღვდელოების მხრივ თავისის თავის მოხელეებად არ დასახვის სურვილი ბავშვობაა და სხვა არაფერი. როდესაც ეკკლესიებს ქონება ჩამოერთვა, იმავე დროს რამდენიმე საეპისკოპოსო კათედრაც გაუქმებულ იქმნა და შემდეგ, კონკორდატის დადების დროს, ეს საქმეც ისე საყურადღებოდ შეიქმნა, როგორც თვით ქონების ჩამორთმევაა ეკკლესიებისათვის.

„მართალია, მას შემდეგ ბევრი ახალი საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა, მაგრამ ეს კათედრებიც კონკორდატში აღნიშნულად უნდა ჩაითვალონ. კითხვა არ უნდა, ხსენებულს პირობას ისევე არ შეეძლო საეპისკოპოსო კათედრადა განსაზღვრა, როგორც, მაგალითად, შესაძლებელი არ არის საფრანგეთის მკვიდრთა რიცხვის ზრდისა და მატების განსაზღვრა.

„კონკორდატი კარგი და სათანადო ღონისძიება გამოდგა. იგი იყო განხორციელება გენიოსურის აზრისა. როგორი სარწმუნოებაც უნდა იყოს, სრულს ურწმუნოებას მაინც ემჯობინება. კატოლიციზმის აღდგენამ დააკმაყოფილა ის თანადბადებული საჭიროება, რომელიც შეუძლებელია ფრანგთა გულიდგან ოდესმე ამოიფხვრას. კათოლიკეთა ეკკლესიაო, განაგრძო რენანმა: მე მოწინააღმდეგედა მსახავს, მაგრამ სცდება, რომ ჩემს შესახებ ასე ჰფიქრობს. მე ჩემ თავად სარწმუნოება უპირველეს საჭირო საგნად მიმაჩნია. მხოლოდ ამ საგანს შეუძლიან დააკმაყოფილოს კაცის მიზიდულება იმ იდეალისაკენ, რომელიც ყოველგან აუცილებლად იჩენს ხოლმე თავს. კატოლიციზმი თავისის მისტიკურის პოეზიითა და რიგიანად შემუშავებულის სალვთის-მსახურო ცერემონიალით ყველაზედ უკეთ აკმაყოფილებს ამ გრძნობას. დაგარწმუნებთ, რომ აწინდელი Statu quo საფრანგეთის სამღვდელოებისათვისაცა და ერისათვისაც ძლიერ სათანადოა და გამოსადეგი. მე ამაზედ უკეთესი სხვა ღონისძიება ვერა მოფიქრია-რა აწინდელ უთანხმოებათა მოსასპობად. ყველა ვალდებულია კარგად შეისწავლოს, შეიგნოს და დაემორჩილოს კონკორდატს. რაც უნდა იყოს, ეს იმას მაინც და მაინც სჯობია, რომ ეკკლესია განეცალკევოს სახელმწიფოს, რაიცა მორწმუნე კათოლიკეებს მეტად ააშფოთებს და ათასს ხათაბალას გადაჰკიდებს სახელმწიფოსაც. ამასთანავე ეკკლესიის განცალკევება სახელმწიფოსაგან არავისათვის სასურველი არ არის. 56 მილიონი, რომელიც ყოველ წლივ სარწმუნოებათა ბიუჯეტს ეძლევა, ისეთი ფულია, რომ უბრალოდ ქუჩაში ვერ იპოვნის კაცი. ვეჭვობ, რომ სხვა რომელისამე გზით შეეძლოს სამღვდელოებას ამ ფულის მიღება. ვიცი, ბევრნი საფრანგეთის სამღვდელოთაგანი ჰფიქრობენ, ადვილად შეიძლება შეიწყნარონ ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების პროექტიო, მაგრამ ისინი ამ შემთხვევაში სცდებიან. პირველში შესაძლებელია ყველაფერი კარგად წავიდეს, მაგრამ ათასგვარი დიდი დაბრკოლებაც არ დაიგვიანებს და მალე წამოჰყოფს თავსა სამღვდელოება იძულებული შეიქმნება გარკვეული ღონისძიება რამ იხმაროს და უმეტესი ნაწილი მაინც აიღოს თავისის 56 მილიონისა. სამღვდელოება აუცილებლად მონა შეიქმნება ფულის მძლეველებისა, ე. ი. არისტოკრატიისა და უპირატესობა მინიჭებულ წოდებათა. ის აზრი, ვითომც საფრანგეთის სამღვდელოებას შეეძლოს ერის შეწირულობით ცხოვრება, სრულიად უსაფუძვლო და შეუწყნარებელია.

„ახლა რა უნდა ვსთქვათ იმ უწესოებათა შესახებ, რომელიც რამდენსამე ეკკლესიაში მოხდა? ეჭვი არ არის, ეკკლესიებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ხსენებულ გვარს ამბებს. მაგრამ თუ კათედრიდგან კარმანიოლის გალობას ანიშნებს მღვდელი და ჰბედავს გადააბას სარწმუნოების საგანი საპოლიტიკო საქმეებსა, ძლი-

---

გონება-განვითარებული. სამწუხაროდ, დღეს ჩვენის ერის უმრავლესობა-კი პირველსაც მოკლებულია და მეორესაც უპატრონობის გამო. ან-კი ვის გაუგონია: მგლებ-ეშმაკებში აღზრდილს უცოდინარს ღვთისა ეშინოდეს და კაცისა სცხვენოდეს? დიაღ, ყველა სწავლით არის, ავიცა და კარგიც. ქალაქებში განათლებულს ხალხს ათასი მასწავლებელი ჰყავს: თავისი ცოდნაც იმისი მასწავლებელია, ლიტერატურაც იმისი დამრიგებელი მოძღვარია, თეატრიც მისი ცხოვრების გზის მაჩვენებელია, საზოგადოებაც, ნაცნობიც, უცნობიც, ნათესავიც, ამხანაგიც, მეგობარიც და სხვანიც, მაგრამ ადამიანის წყეული ბუნება ისე ძნელად მოსარჯულებელია, რომ განათლებაშიაც-კი გამოდიან განათლებულნი ავაზაკნი. მაშ რაღა უნდა ჰქმნას სოფლებში უცოდინარმა ხალხმა და მისმა მომავალმა ნორჩმა თაობამ, როდესაც იმათი სული და ხორცი, სირევენე და გონიერება, ბედი და უბედობა, კაი კაცობა და ცუდ-კაცობა — ყველა ეს სოფლის მღვდლების, მასწავლებლებისა და მოხელეების ხელშია და ისინიც ღმერთს არ უქნია, გარდა თითო-ოროლა პატიოსანის კაცისა. ახლა ისიც გავიხსენოთ, თუ რამდენი ცუდის ყოფაქცევის სათოკე შარლატნები ახვევია ბუზივით სოფლის ხალხს და მერე სულქვეშა ვსთქვათ ჩვენთვის: განა გასაოცარი-ღაა მრავალთა ბოროტ სულთა ზედ გავლენით რომ ხალხში ქრისტიანული ადამიანობა და ღვთის შიში გამქრალიყოს და ათას ნაირი გარყვნილობა, ბოროტება და მოღალატობა ჰმეფობდეს? გასაკვირველი რა ბძანებაა, „человѣкъ не скотина—испортить не долго“. უცოდინარის ხალხის ბუნება ისე ადვილად ითვისებს ავსაცა და კარგსაც, როგორც თეთრი ქაღალდი სხვა-დასხვა ფერის მელანს, და აი სავალალოც ეს არის, რომ ორ-ფეხა მგელ-კაცებისაგან გატყავებული ხალხი უკან-უკან მიდის დღითი-დღე ზნეობითაც-კი, მრავალთა ზნე-წამხდართა ზედ-გავლენით და მისი კეთილის გზისაკენ გამომბრუნებელნი, კაცთ-მოყვარების მაღალის გრძნობებით გამსჭვალულნი კეთილნი სულნი კი არსადა სჩანან დაბა-სოფელში ხალხის საკეთილდღეო საქმეებისათვის თავ-შესაწირად.

თუ რა გავლენა აქვს ხალხზედ გონიერის ცოცხალს სიტყვას, ამას მშვენივრად გვიხატავს ხალხის გენიასაგანვე შექმნილი შემდეგი პაწია ლეგენდა: ისეთი უსულ-ღმერთო დევ-გმირი იყო შავი მოსე, რომ ერთის შეჩმუხნით ნაცარ-მტვრად აქცევდა ხოლმე ბრალიანსა და უბრალოს. ბოლოს ერთმა მადლიანმა ბერმა ბევრი უქადაგა და ესეც ზედ დაატანა: ღმერთი, რჯული, შენც მოჰკვდები და ვერსაით წაუხვალ საუკუნო ჯოჯოხეთს, თუ არ გამიგონებო: ჩოხა გაგხადონო! თავი დაუკარ; ახალოხი გაგხადონ—თავი დაუკარ; პერანგი გაგხადონ—თავი დაუკარ; ფეხსაცმელი გაგხადონ—თავი დაუკარ; ქუდი მოგხადონო—თავი დაუკარ და ნურავის-რას აზნევ და აწყენ ნურც ხელით და ნურც ენით, თუ გინდა სამოთხეში შეხვიდე და ღვთის საყვარელ შვილად ითვლებოდე უკუნისამდეო. ჰკუაში დაუჯდა ბერის დარიგება შავს მოსეს და შევიდა მონასტერში ცოდვების მოსანანიებლად. ერთხელ შავი მოსე ტყეში გაგზავნეს შეშისათვის და ტყეში შესვლის უმალვე თორმეტი შეთოფიარაღებული ავაზაკი დაეცა თავს. ზოგმა მოკვლა დაუპირა მოსეს, მაგრამ ავაზაკების ბელადმა დაუშალა: მაგის სიკვდილს რას გამორჩებით, გაძარცვეთ და გაუშვითო. დაუწყეს ტიტვლება და მოსეს ყველა საცმლის გახდის დროს ავაზაკებს თავს უკრამდა, მაგრამ მიდგა თუ არა ჯერი პერანგის ამხანაგზედ, მაშინ-კი ერთი თავისებურად, ძველებურად შეიჩმუხნა მოსე და ავაზაკები მეშის ბურთივით დასცქნენ დედამიწას. ამ დროს საიდგანღაც გამოკარდა ბერი და შეუტია მოსეს: ეგ რა ჰქენიო?!

— რა ვქნა, მამაო, არ გითქვამს: პერანგის ამხანაგიც რო გაგხადონო, თავი დაუკარიო, და მაშ რა უნდა მექნაო. ბოლოს ბერმა პირჯვრის გადაწერით მოასულიერა ავაზაკები და ისე მოაქცია ქადაგებით, რომ იმათზედ პატიოსანი მუშები ძნელადღა მოიპოვებოდა იმ ქვეყანაში. ეხლა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ: შავმოსეს თუ ერთი სიტყვა დააკლო ბერმა და ისე მოიქცა კიდევ თავის უცოდინარობით, ჩვენს უთვალავს შავ-მოსეებს რაღამდენი სიტყვა-დარიგება აკლიათ უპატრონობით და როგო მოიქცევიან შინ და გარედ!... Мужикъ, что мѣшокъ, что положишь—то и несетъ,—მშვენივრად უთქვამს რუსებს, თუმცა კი არიან ისეთი შვილებიც, რომლებზედაც რუსებისავე ანდაზა ამბობს ზედ-გამოჭრილად: Какъ чорта не крести, а онъ все кричитъ: пусти! მაგრამ რომელი სულელი იტყვის: რადგან ბოროტ-მოქმედებას ვერავინ გამოჰლევს ქვეყანაზედ, ამისათვის უმჯობესია იმის ბრძოლაზედ ხელი აიღონო?! ღმერთმა ნუ ჰქნას! ცაში რომ ჯოჯოხეთი მოსპობილიყო და მიწაზედ ბრძოლა ბოროტებასთან, მაშინ ხომ ანგელოზებიც ეშმაკებად იქცეოდნენ, მთლად დაჯაგნარიანდებოდა საგმირო ასპარეზი ქვეყნის მომარჯულებელ გენიოსებისა და წინმსვლელობის ნაცვლად უკუ-მსვლელობას დავიწყებდით. მაშასადამე, დაუცხრომელი ბრძოლა კეთილ-გონიერებისა ერთად-ერთი საშუალებაა, რომ ქვეყანაზედ ანგელოზები მრავლდებოდნენ და ეშმაკები თხელდებოდნენ. მხოლოდ თავის დღეში არ უნდა ხმარობდნენ ბრძოლაში ტყვიაწამალს, რადგანაც ასეთი ბარბაროსობა ცხადად ამტკიცებს, რომ ადამიანი ჯერაც საზიზღარი პირუტყვია და ვერ მოუხმარებია ის ღვთისაგან მინიჭებული მადლი ყოვლად-შემძლებლობლისა, რომელსაც „სიტყვა“ ჰქვიან და რომლის მოსაქმედს თვით მთელის ქვეყნის სამარი იარაღებიც ვერ მოიმოქმედებენ, თუნდაც რომ მთელის დუნიის ქარაფშუტა გენერლებიც ზარბაზნებად იქცნენ და იმათი თავ-ქარიანი აფიცრები—ყუმბარებად.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ერ. ფრთხილად უნდა მოიქცეს და კეთილ-გონიერად უნდა განსაჯოს საქმე მხოლოდ დოგმატის მხრივ. სარწმუნოებაში რწმენა, სასოება სიყვარულია. სარწმუნოებას უიმისოდაც დიდი საქმე აქვს: იმან უნდა ანუგეშოს და კეთილმყოფელობა გაუწიოს კაცობრიობას. დეე სარწმუნოებამ იმოქმედოს ხალხზედ თავისის ადათითა და საიდუმლოებით და უბრალოდ ნუ ჩაერევა პოლიტიკაში, თორემ ამას ჯერ არას დროს კარგი შედეგი არა მოჰყოლია-რა. მე, როგორც მეგობარი, ასეთს დარიგებას ვაძლევ ეკლესიას.

„პაპი ლეო XIII-ის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ ტყუილად ჰგონიათ ის შესანიშნავი დიპლომატი და დიდი პაპი. იგი იტალიელი სწავლული კაცია და სხვა არაფერი. მე მგონია, რომ იმის ღირსების შესახებ აქამდე სულ გაზვიადებითა და გადაჭარბებით ლაპარაკობენ. ვბედავ და ვამბობ ამას. პაპი ბუზსავით მუდამა ჰპზუის, სცდილობს გააფუჭოს ყველგან და ყველაფერი, ვითომდა იმ აზრით, რომ ახალი სიცოცხლე მსურს ჩავუდგა ეკლესიასაო. ამ ახალის სიცოცხლის მისაღებად, პაპის აზრით, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ეკლესია გადასცდეს თავისის მოქმედებით იმ საზღვარს, რაც მისს თვისებას დიდი ხანია შემოუფარგლავს მისთვის. პაპიმ იქნება მართლა მოახერხოს და ახალი ცხოვრება და სიცოცხლე მიანიჭოს ეკლესიას, მაგრამ ეკლესია ეკლესიად-კი ღარ დარჩება, სხვად რადმე გადიქცევა. აწინდელი კათოლიკეთა ეკლესია მრავალ მოძღვრებათა სიდიადით არის შემკული და ცხრამეტის საუკუნის განმავლობაში თავის დედა-აზრისათვის ერთგულების ავტორიტეტი აქვს მოპოებული. აწინდელი კათოლიკეთა ეკლესია ხორცშესხმული ავტორიტეტია—ტიპიური ფორმაა იერარქიისა. დიდის ხნის არსებობა და ის გარემოება, რომ ამ ჟამადაც საკმაოდ აკმაყოფილებს აწინდელს სარწმუნოებრივს გრძნობას, დიდ გავლენიანადა ჰხდის კათოლიკეთა ეკლესიას. თუ განახლდა კათოლიკეთა ეკლესია, მაშინ სულ სხვა მდგომარეობაში ჩავარდება, იმ მოხუცს დაემგზავსება, რომელსაც ახალგაზდა კაცის როლის ასრულება უკისრნია. რაც უფრო მეტს ეცდება ახალგაზდურის ქცევით მიიქციოს საზოგადოების ყურადღება, მით უფრო უმეტესს გააცინებს თავისს თავზედ. ეკლესიამ არას დროს არ უნდა ჩააყენოს თავისი თავი ასეთს მდგომარეობაში, თავისს თავზედ არ უნდა გააცინოს შეუგნებელი ხალხი, რომელსაც არ ესმის სიდიადე ეკლესიისა და სიწმიდე მისის მოძღვრებისა.

„ეკლესიამ უნდა უერთგულოს თავისს აზრს და იზრუნოს ყველა თავისის წევრის კეთილდღეობისათვის. იგი დედასავით ქველად უნდა მოექცეს მათ, ხოლო თავის გასამაგრებლად და დასამკვიდრებლად ძალას არ უნდა დაუწყოს ძებნა სხვაგან სადმე და განსაკუთრებით საპოლიტიკო დასთა შორის და მეტადრე ისეთ გამოუცდელ მოძღვრებათა დასში, როგორიც სოციალიზმია. კათოლიკეთა ეკლესია მორწმუნეთა დედას უწოდებს თავისს თავს, ხოლო დედა ვალდებულია განურჩევლად და ერთგვარის სიყვარულით ეკიდებოდეს ყველა შვილს.

„მე არა მგონია, რომ ამის გამო სასულიერო უწყების კაცებს ამომრჩევლობის უფლება უნდა ჩამოერთვას, როგორც, მაგალითად, ამას საბერძნეთში შვრებიან. ჩვენში (საფრანგეთში) მღვდელიც მოქალაქეა დანარჩენ სხვა ფრანგებსავით და, მაშასადამე, ნება ეძლევა იქონიოს ყველა ის უფლება, რაც სხვებსა აქვს მინიჭებული. ამიტომ სამღვდელოს შეუძლიან ამომრჩევლადაც იყოს და ამორჩეულიც დეპუტატად პალატისა და სენატისა“.

## წვრილი ამბავი

უცნაური დროს გასატარებელი და გასართობა მოუგონიათ თავისთვის ამას წინად პიტერბურგის ორს სტუდენტს. ღამის ორს საათზედ ეს ორივე კავალერნი იქაურ თეატრის ზანზედ ასულან და დიდის თავ-გამოდებით დაუწყიათ მამლურად „ყიყლიყოს“ ძახილი. ამათი გულ-მოდგინეობა ამ საქმეში ადგილობრივს სასამართლოს ღირსეულად დაუფასებია და მოსამართლეს თითო მამლაყანწა სტუდენტისათვის სამ-სამი მანათი ჯარიმა გადაუხდევინებია.

— პარიჟში ანარხისტთა დაპატიმრების დროს ბევრი სასაცილო ამბავიც მომხდარა. გაზ. „Temps“-ის სიტყვით, აი, სხვათა შორის, რა უცნაური ამბავი ყოფილა. ერთის ანარხისტის სადგომში მისულა პოლიციელი და საწოლ ოთახის კარები დაურახუნებია, რადგან ჰგონებია, ანარხისტი აქ იფარავს თავსაო, და დაპატიმრება სდომებია. შიგნიდგან ვიღაცამ დაუძახნია: „მოგვასვენეთ!“ და ოთახში მთელი ორონტრიალი დაწყებულა. რაკი უნახავს, კარებს არ აღებენო, პოლიციელს კარების რახუნი კვლავ განუმეორებია. ბოლოს კარებში გამოჩენილა შიშით აკანკალებული დედაკაცი და უკითხავს, ვინა გნებავთო.

„— მე თქვენს ქმარს ვეძებ, უთხრა თურმე პოლიციელმა: აი, მისის დაპატიმრების ბრძანებაც აქა მაქვს.

„— ჩემი ქმარი აქ არ არისო! გაოცებით უთქვამს უმაწვილს ქალს.

„— მე-მე არის, დაგიჯერეთ რაღა! თუ აქ არ არის, მაშ ვისი ხმა იყო, ეხლა კაცის ხმა გავიგონე მაგ ოთახიდგან?

პოლიციელი შევიდა თურმე ოთახში და საწოლისაკენ გაეშურა, სადაც ვიღაც კაცი იმალებოდა.

„— აა, აი სადა ბრძანდებით თურმეო, დაიძახა პოლიციელმა: აბა რას იმალებით.

„— ბატონო, მე ის არ გახლავართ, ვისაც თქვენ ეძებთ: მე ამ ქალის ქმარი არა ვარო, მორცხვად და წამოწითლებით ჩაილაპარაკა უცნობმა.

„— მაშ ვინა ხართ?

„— ამ ქალის ერთი მეგობართაგანი.

თუმცა ქალი სულ ერთიანად წამოწითლებული-წამოჭარხლებული იყო, მაინც იმედებული შეიქმნა ხმა ამოიღო.

„— ბ-ნო პოლიციელო, ჩემი ქმარი გუშინ წავიდა პარიჟიდგან.

„— თქვენც მაშინვე მოადგილე უპოვნეთ განა? ყოჩაღ, ქალბატონო!

ქალმა მორცხვად დაუქნია თავი ნიშნად თანხმობისა. პოლიციელი მაინც არ უშვებდა უცნობს, ანარხისტის ცოლის საყვარელს, ვიდრე მან საბუთები არ წარუდგინა, რომ მე სხვა ვარ და არა ამ ქალის ქმარი—ანარხისტიო.

— ოგაიოს შტატის ქალაქ კლევლენდში ამერიკელს ამსტუცს გამოუგონია საშუალება ნახატის, სურათის დეპეშასავით გადაცემისა. „ახალთა გამოგონებათა მსოფლიო მიმომხილველა“ მთელს წერილს უძღვნის ამ ამბავს და დაბეჯითებით ამბობს, რომ რაკი შორს მანძილიდგან რისამე დანახვის ამოცანა გამოცნობილია, ეხლა ამ გარემოებას ცხოვრება თავისთვის გამოიყენებს და სასარგებლოდ მოიხმარებსო.

— ინგლისში ყოველ წლივ 1,500 მილიონს პაპიროსსა სწევენ თურმე, ავსტრიაში—1,980 მილიონს და რუსეთში—1,590 მილიონს პაპიროსს. წარმოიდგინეთ, ამოდენა ბოლმა რა ნისლი უნდა დააყენოს!..

## წერილი რედაქციის მიმართ

გაახლებთ ხუთ მანეთს, სხვა-და-სხვათაგან შემოწირულს, ალექსანდრე ყაზბეგის (მოხევარიძის) ფონდის სასარგებლოდ და გთხოვთ თქვენს გაზეთს „ივერიაში“ გამოაცხადოთ შემომწირველთა გვარი და სახელი.

აი იმათი სია: იოსებ დავითის ძე ამირიძე 1 მან., სოლომონ ივანეს ძე შათირიშვილი 1 მან., არტემ ზაქარიას ძე მარჯანოვი 1 მან., ისაკ გიორგის ძე კანდელაკი 1 მან., ნიკოლოზ ივანის ძე ვაჟიკაშვილი 1 მან. სულ 5 მანეთი.

ნიკოლოზ ვაჟიკაშვილი

პეტერბურგის ბირჟა, 21 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,63 | 7,67 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 152½ | 153¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | 1,12 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 219½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 197 | 198¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

ღვინის საწყობი თავ. ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა

(გოლოვინის პროსპექტზედ, სახლი თავ. მუხრანსკისა)

საყოველთაოდ ვაუწყებთ, რომ ამ ფირმის ღვინო ტფილისში არსად არ ისყიდება, გარდა ზემოხსენებულის საწყობისა. თუმცა გამოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც „მუხრანსკის“ ფირმით ჰყიდიან ღვინოს, მაგრამ იმათ ბაგრატიონ-მუხრანსკისთან არავითარი ერთობა არა აქვთ. (5—1)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее; ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ძლძლო თუთაევის

ზეთანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—5)


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვაღობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოთი 7-დგან 8 საათამდე.

რედაქციის ადრესი: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკის სახლში № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 23-го Апрѣля 1892 г. სტამბა მ. შარაძის. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.